მუშაკთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 22 დეკემბერი, 1944 წ. № 256 (7209). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა მეომარი. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 20 და 21 დეკემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

ხელმოწერილია სსრ კავშირისა და ფინეთის მთავრობათა შეთანხმება ფინეთის მიერ საქონლის მოწოდების შესახებ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც ფინეთმა საბჭოთა კავშირს მიაყენა საომარი მოქმედებითა და საბჭოთა ტერიტორიის ოკუპაციით (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი სესია (1-ლი გვერდი).

ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ლიტერატურა რესპუბლიკაში ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ (მე-2 გვერდი).

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი — ოთარ შვანგირაძე; artილერისტი ირემაშვილი (მე-2 გვერდი).

გ. ზედგინიძე — საწარმოთა ენერგეტიკოსების გადაუდებელი ამოცანა (მე-2 გვერდი).

ლ. გორგილაძე — იდეების როლი საზოგადოების განვითარებაში (მე-3 და მე-4 გვერდი).

ამერიკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

საბჭოთა მეომარი

საბჭოთა დროშები უკვე ბუდაპეშტთან ფრიალებენ. ჩვენი ჯარები უკვე დუნაის გალმა იმყოფებიან. მტერი „ვოლგასთან იყო, ახლა კი განადგურებულია და უკუქცეულია ვოლგიდან ათასობით კილომეტრზე. მარტო 1944 წლის ზაფხულის კამპანიაა განმავლობაში წითელმა არმიამ კიშინიოვიდან ბელგრადამდე ბრძოლებით გაიარა 900-ზე მეტი კილომეტრი, ლენინგრადიდან ვარშავამდე — 600-ზე მეტი კილომეტრი, ვიტებსკიდან ტილზიტამდე—550 კილომეტრი. „საბჭოთა მეომრები გამოიბრძმედნენ ბრძოლებში, ისწავლეს მტრის განადგურება და დამარცხება. წითელ არმიაა მრისხანე ძალა გახდა და სჯობნის მტერს თავისი სამხედრო უნარითა და საბრძოლო ტექნიკით“ (ი. სტალინი).

რუსი ჯარისკაცი წარსულშიც განირჩეოდა მაღალი საბრძოლო თვისებებით. ჯერ კიდევ პეტრე I-მა ტყუილად როდი უბრძანა ჩამოესახათ რუსეთის არმიის პირველი რიგითი ჯარისკაცი—მამაცი ბუხვოსტოვის ქანდაკება, ბოლო სუვოროვი თავის ჯარისკაცებს დევგმირებს ეძახდა. მაგრამ რუსი ჯარისკაცის მაღალ საბრძოლო თვისებებსა და საბრძოლო სგგირო ადამიანებს წარსულ ომებში ბევრად გადაუჭარბეს საბჭოთა მეომრებმა. ჰხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული აღფრთოვანებს ჩვენს მებრძოლებს მამაცობისა და გმირობისათვის, რაც უმაგალითოა ისტორიაში. ლენინ-სტალინის პარტია საბჭოთა ადამიანებს, უნერგავდა და უნერგავს უშიშრობას სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში. უსაზღვრო მამაცობას, უნარს ებრძოლონ მტერს ბოლომდე, გადალახონ ყოველი სიძნელე და გადალწყვიტონ ისეთი ამოცანები, რომლების გადაწყვეტაც ძალუძს მხოლოდ დიდ ხალხს, მხოლოდ სოციალისტურ წყობილებას.

ჰიტლერელებმა, როდესაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს იწყებდნენ, უგულებელჰყვეს ისტორიის გაკვეთილები, დაივიწყეს „ბრალო ჭიშმარიტება: არ შეიძლება დაიმორჩილო ისეთი ქვეყანა, როგორიცაა ჩვენი ქვეყანა, ისეთი ხალხი, როგორიცაა ჩვენი ხალხი, ისეთი არმია, როგორიცაა ჩვენი არმია, ისეთი ჯარისკაცი, როგორიცაა ჩვენი ჯარისკაცი. ჩვენ დავიცავით ჩვენი სამშობლო დამპყრობთაგან. საბოლოოდ მოვსპეთ სსრ კავშირის ხალხთა დამონების საფრთხე და ჰიტლერიულ გერმანიაზე საბოლოო გამარჯვების წინ ვიმყოფებით. დიდი სამამულო ომის ცეცხლით გამოცდამ უმჯობესთან ძალით აამოჩინა მთელი მსოფლიოს წინაშე საბჭოთა მებრძოლის სიდიადე და სულიერი ძლიერება, სამხედრო ოსტატობა და ფოლადისებური გამოწრთობა.

დიდმა მხიდართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა შეჰქმნა არმია, რომელიც ღირსია იმ ისტორიული მისიისა, რაც მას წილად ხვდა ამ ომში. ჩვენი სამშობლოსათვის თაოსნობა ძმა-მე განსაცდელის ოღეებში მებრძოლთა ბოლს აღავსებდა სტალინური გენიის ძმაური ძალა. ერყევი ნებისყოფა გამარჯვებისამდი. უშიშრობა საფრთხის წინაშე, მგზნებარე რწმენა ხალხის ძლიერებისადმი და ბრძნული გულდაჯერება ჩვენი სამართლიანი საქმის ზეიმიადმი, ამხანაგი სტალინი გენერლებსა და ოფიცრებს ასწავლიდა, ყოველ რიგითს მებრძოლ ასწავლიდა რთულსა და ძნელ ოსტატობას, თუ როგორ უნდა დაამარცხო ძლიერი, გამოცდილი და ვერაგი მტერი. საბჭოთა მეომარს, რომელიც გმირულად ასრულებს თავის ჯარისკაცულ მოვალეობას, საგმირო საქმეებისათვის აღფრთოვანებს ხალხის ბედნიერებისათვის ორი უდიდესი მებრძოლის — ლენინისა და სტალინის სახე. ეს ძალუძს მას ძალას იმისათვის, რომ გადალახოს ყოველივე და გაიმარჯვოს.

„ბრძოლა,—ნათქვამია „წითელი არმიის ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდებაში“,—არის მებრძოლის მორალური, ფიზიკური თვისებებისა და გამძლეობის ყველაზე უფრო დიდი გამოცდა. ხშირად ბრძოლაში უნდა ჩაება ჰომქანცველი მარში შემდეგ და განუწყვეტლად იბრძოდე რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში, დღისით და ღამით. ამიტომ, **რათა მებრძოლმა შეასრულოს თავიხი ამოცანა ბრძოლაში, მას უნდა ჰქონდეს უნარი გადაიტანოს ყოველგვარი სიძნელე და გაჭირვება, იყოს მხნე, მამაცი და გულადი და განუხრელად ცდილობდეს შეხვდეს მოწინააღმდეგს, ტყვედ წამოიყვანოს იგი ან მოსპოს**“.

ჩვენმა მებრძოლმა დიდ გამოცდას გაუძლო. მან ისწავლა გადატანა სიძნელეებისა და გაჭირვებისა, რაც ადამიანის ძალღონეს აღემატება, და ამასთან მხნე, მამაცი და გულადი და განუხრელად ცდილობდეს **შეხვდეს მოწინააღმდეგს, ტყვედ წამოიყვანოს იგი ან მოსპოს**“.

ჩვენმა მებრძოლმა დიდ გამოცდას გაუძლო. მან ისწავლა გადატანა სიძნელეებისა და გაჭირვებისა, რაც ადამიანის ძალღონეს აღემატება, და ამასთან მხნე, მამაცი და გულადი და **განუხრელად ცდილობდეს შეხვდეს მოწინააღმდეგს, ტყვედ წამოიყვანოს იგი ან მოსპოს**“.

ჩვენმა მებრძოლმა დიდ გამოცდას გაუძლო. მან ისწავლა გადატანა სიძნელეებისა და გაჭირვებისა, რაც ადამიანის ძალღონეს აღემატება, და ამასთან მხნე, მამაცი და **გულადი და

ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ

(გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი თანამონაწილეების ბოროტმოქმედებათა დამდგენი და გამომძიებელი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობიდან)

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოკუპაცია რომ მოახდინეს, გერმანელი ფაშისტები ცდილობდნენ გადაექციათ ლიტვა გერმანიის კოლონიად და დაემონებინათ ლიტველი ხალხი. ჰიტლერული მთავრობის ამ დანაშაულებრივმა მიზანმა თავისი მთლიანი გაიოხატულება ჰპოვა ლიტველი მოსახლეობის საყოველთაო გაძარცვით, საერთო გაჩანაგებით, მისი აბუჩად აგდებით და წამებით, მოხუცების, ქალებისა და ბავშვების, აგრეთვე სამხედრო ტყვეების მასობრივი დახოცვით.

ლიტვის სს რესპუბლიკის განთავისუფლების შემდეგ საგანგებო სახელმწიფო კომისიამ გამოძიების მასალათა შესწავლის, ფაშისტების მიერ ჩადენილ მსხვერპლთა საფლავების გათხრისა და მოწმეების ჩვენებათა საფუძველზე დაადგინა შემაძრწუნებელი ფაქტები ბოროტმოქმედებათა და ნგრევისა, რაც გერმანელმა ფაშისტმა ბანდიტებმა ჩაიდინეს მათ მიერ ლიტვის ოკუპაციის დროს.

* * *

ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ერთი წლის განმავლობაში ლიტვის კულტურამ მიიღო ყველა პირობა თავისი ფართო განვითარებისათვის. გაიხსნა ახალი სასწავლებლები, გაიშალა ახალი სკოლების ქსელი, შეექმნა სახელმწიფო ფილარმონია, სახალხო შემოქმედების სახლი, გაიხსნა სამხატვრო აკადემია ვილნიუსში და გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტი კაუნასში. ჩამოყალიბდა ლიტველ მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები.

ცდილობდნენ რა ლიტველთა კულტურის მოსპობას, გერმანელმა ოკუპანტებმა თავისი შემოქრისთანავე განადგურეს ლიტვის კულტურული დაწესებულებანი და სასწავლებლები, დაშალეს შემომქმედ მუშაკთა კავშირები. გერმანელებმა დაანგრიეს ვილნიუსსა და კაუნასში 14 გიმნაზია, 46 დაწყებითი სკოლა, აგრეთვე სასწავლებები მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

ლიტველი ინტელიგენციის წარმომადგენლები უსასტიკეს დევნასა და რეპრესიებს განიცდიდნენ. ბევრი მათგანი დახვრეტილი ან დაღუპულია.

* * *

ლიტვის სს რესპუბლიკის ოკუპაციის დროს ჰიტლერელმა არამზადებმა სისხლიანი ტერორის რეჟიმი დაამყარეს. ყოველგვარი წინააღმდეგობის ჩახშობის მიზნით გერმანელები გეგმაშეწონილად და მეთოდიურად ჟლეტდნენ საბჭოთა ადამიანებს, აბუჩად იგდებდნენ, ყოველნაირად აწამებდნენ და ძალადობას ხმარობდნენ მათ მიმართ. არასრული ცნობებით, მათ ლიტვის ტერიტორიაზე საკონცენტრაციო ბანაკებში გაელიტეს 165 ათასი სამხედრო ტყვე. დახვრიტეს, დასწვეს და წამებით დახოცეს 300 ათასზე მეტი ადამიანი მშვიდობიანი მოსახლეობიდან.

ლიტვის სს რესპუბლიკის დედაქალაქის—ვილნიუსის დაპყრობისთანავე გერმანელმა ოკუპანტებმა დაიწყეს მისი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა. დაბა პანერიაში (ენონარი), ვილნიუსიდან 8 კილომეტრ მანძილზე, შექმნეს სპეციალური ბანაკი. მასობრივი მკვლელობანი ამ ბანაკში 1941 წლის ივლისიდან დაიწყო და გრძელდებოდა ოთხმოცი ყოველდღე წითელი არმიის მისვლამდე.

ჰიტლერული ჯალათები ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი სისხლიან დანაშაულობათა კვალი და ამისათვის მოაწყეს დახვრეტილ ადამიანთა გვამების დაწვა. გვამებს შეშაზე აწყობდნენ მწკრივად ა-ას კაცს და საწვავ სითხეს ასხამდნენ. მოწმეთა ცნობით, ყოველ კოცონზე ერთდროულად სწვავდნენ 3.000-მდე გვამს. 1943 წლის ბოლოდან 1944 წლის ივნისამდე ცხრა ორმოდან ამოიღეს და კოცონებზე დასწვეს სულ მცირე 100 ათასი გვამი.

ფორტ № 9-ს კაუნასის მცხოვრებლებმა „სიკვდილის ფორტი“ უწოდეს. იგი მდებარეობს ქალაქიდან 6 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით და წარმოადგენს ციხის ძველ რკინა-ბეტონის ნაგებობას კაზემატების დიდი რაოდენობით. ვინც კი იქ მოხვდებოდა, ცოცხალი არ გადარჩებოდა. რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარ კოლონებად ჰიტლერელები ფორტში მიერეკებოდნენ ქალებსა და ბავშვებს, მოზარდებს, მამაკაცებსა და მოხუცებს, ხვრეტდნენ და სწვავდნენ მათ.

გერმანელები საბჭოთა მოქალაქეებს ატიტვლებდნენ, შემდეგ 300 კაცისაგან შემდგარ პარტიებად მიერეკებოდნენ წინასწარ მომზადებულ თხრილებში და იქ ავტომატებითა და შაშხანებით ხვრეტდნენ. „განწირული ადამიანები იმდენი იყვნენ,—ამბობენ მოწმეები,— რომ ისინი რამდენიმე საათს იდგნენ ხოლმე სიცოცხლის ტიტვლები სიკვდილის მოლოდინში“. 1941 წლის დეკემბრის მარტო ორი დღის განმავლობაში ფორტ № 9-ში დახვრეტილ იქნა 22 ათასამდე მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე. სულ ჰიტლერელებმა აქ 1943 წლის ოქტომბრამდე მოსპეს 50 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის 40 ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე და 10 ათასამდე უცხოელი. თავიანთ დანაშაულობათა კვალი რომ დაეფარათ, ჰიტლერელებმა 1943 წლის ოქტომბრიდან დაიწყეს მათ მიერ დახოცილ ადამიანთა გვამების დაწვა სპეციალურ კოცონებზე. ამავე კოცონებზე გერმანელები ცოცხალ ადამიანებსაც სწვავდნენ. ასე, მაგალითად, მოწმე გელტრუნკის ჩვენებით, 1943 წლის 16 დეკემბერს ფორტ № 9-ში ცოცხლად დასწვეს დოცენტ შაპიროს ოჯახი, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგებოდა. მოწმე ნ. ფ. კოროლკოვმა, სოფელ გედრაიციის მოქალაქემ, ნახა, რომ „დღისით კოცონთან მიდიოდნენ დახურული მანქანები, რომლებიდანაც ადამიანებს ცეცხლში ჰყრიდნენ. ხშირად გაისმოდა ყვირილი და ხროლა“.

ფაშისტი არამზადების მიერ ქალაქ კაუნასში ჩადენილ დანაშაულობათა გამოძიებელმა კომისიამ გამოარკვია, რომ ჰიტლერელებმა ფორტ № 9-ში 70 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები მოსპეს.

ლიტვის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჰიტლერელებმა უდიდესი რაოდენობით მოსპეს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ ორიოლის, სმოლენსკის, ვიტებსკისა და ლენინგრადის ოლქების მცხოვრებლებიც, რომლებიც აქ მორეკეს. ევაკუირებული მოსახლეობისათვის ქალაქ ალიტუსის ძახლობლად მოწყობილ ბანაკში 1943 წლის ზაფხულიდან 1944 წლის ივნისამდე 200 ათასამდე კაცმა გაიარა. დაპატიმრებულებს მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე უნდა ემუშავნათ, მათ მაშაშლით ხოცავდნენ. მძიმე ანტისანიტარულმა პირობებმა, წარმოუდგენელმა სივიწროვემ, წყლის უქონლობამ, შიმშილმა და ავადმყოფობამ, აგრეთვე მასობრივმა ხვრეტამ გამოიწვია ის, რომ 14 თვის განმავლობაში ამ ბანაკში 60 ათასამდე მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანი დაიღუპა.

1944 წლის 3 ივნისს ჰიტლერელები ტრაკაის მაზრის სოფელ პერჩიუპაში შეიჭრნენ, მოახდინეს საერთო ძარცვა, ყველა მამაკაცი ერთ სახლში შეამწყვდიეს, ქალები და ბავშვები კი სამ სხვა სახლში და ცეცხლი წუკიდეს ამ სახლებს. ვინც გაქცევას ცდილობდა, ფაშისტი მხეცები მათ იჭერდნენ და კვლავ ცეცხლში ჰყრიდნენ. ასე დაიწვა სოფლის მთელი მოსახლეობა—119 კაცი, მათგან 21 მამაკაცი, 29 ქალი და 69 ბავშვი.

აშვიდობიან მცხოვრებთა მხეცური მასობრივი ჟლეტა გერმანელმა ოკუპანტებმა მოახდინეს მარიამპოლში, ტრეკაიში, პანევეჟისში, უკმერგესა და სხვა ქალაქებში.

საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის მოწყობილ ბანაკებში დაპატიმრებულებს მხეცურად აწამებდნენ და აბუჩად იგდებდნენ. გერმანელი ჯარისკაცები და მცველები თვიანთი ნებასურვილის მიხედვით განაგებდნენ სამხედრო ტყვეების სიკვდილ-სიცოცხლეს.

კაუნასის აეროდრომის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას მდებარე ბანაკში ქანცგამოლეული სამხედრო ტყვეები, რომლებსაც (მოძრაობა აღარ შეეძლოთ, ყოველდღე გაჰქონდათ ბანაკს გარეთ, ცოცხლებს ალაგებდნენ ადრეულ ამოთხრილ ორმოებში და მიწას აყრიდნენ. აქ წამებით დახოცილი და დამარხულია 10 ათასამდე საბჭოთა სამხედრო ტყვე. ქალაქ ალიტუსის მახლობლად მოწყობილ ბანაკში დახვრეტით, შიშვლით, სიცივითა და პარტახტიანი ტიფით დაიღუპა სულ მცირე 35 ათასი კაცი.

1941 წლის შემოდგომაზე გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მოაწყეს ბანაკი საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის ქალაქ ნაუიო-ვილნიას სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე. მოწმეების მრავალრიცხოვან ჩვენებათა საფუძველზე კომისიამ გამოარკვია, რომ აქ ბანაკში საბჭოთა სამხედრო ტყვეებს წინასწარ განზრახვით სისტემატურად მასობრივად ჟლეტდნენ შიმშილის რეჟიმის, ქანცგამოცლელი და აუტანელი შრომის, წამებისა და დახვრეტის გზით. აქ ჰიტლერელების მიერ გაჟლეტილ მსხვერპლთა საერთო რიცხვი ორ ათასზე მეტ კაცს შეადგენს.

* * *

ჰიტლერელებმა გააპარტახეს ლიტველ გლეხთა სოფლის მეურნეობა.

1940-1941 წლებში ლიტვის 75 ათასზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მეშას, უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხს მიეცა მიწა ნაკვეთები. ისინი უზრუნველყოფილ იქნენ კრედიტით მშენებლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, მოწყობილობით, თესლეულით. ამრიგად, რესპუბლიკაში საფუძველი ჩაეყარა სოფლის მეურნეობის აყვავებას.

ფაშისტმა კოლონიზატორებმა მაშინვე წაართვეს მშრომელ გლეხებს მათ მიერ მიღებული მიწა. მიწათმოქმედების ჰიტლერელმა მინისტრმა დარემ გულახდილად განაცხადა: „... წვრილი ადგილობრივი გლეხები განდევნილ უნდა იქნენ თავის მიწებიდან და გადაქცეულნი უმიწო პროლეტარიებად იმისათვის, რომ შემცირდეს მათი გამრავლება. დამუშავებული მიწები გერმანელ ბატონთა კლასის ხელში უნდა გადაეცნენ. მთელ აღმოსავლეთ სივრცეში მხოლოდ გერმანელებს აქვთ უფლება იყვნენ მსხვილი მამულების პატრონები. უცხო რასათა დასახლებული ქვეყანა უნდა გახდეს მონების, სასოფლო-სამეურნეო მასახურთა და სამრეწველო მუშაკთა ქვეყანად“.

ლიტვის მშრომელი გლეხობის მიწიდან აყრასთან ერთად ჰიტლერელები ძარცვავდნენ მას და ათრევდნენ მთელ ცოცხალსა და მკვდარ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსა და მოწყობილობას, სტაცებდნენ იმ ხე-ტყესაც, რომელიც საცხოვრებელი შენობების მშენებლობისათვის იყო მიმზადებული.

ჰიტლერელი დამპყრობლების ბატონობის შედეგად ლიტვის სს რესპუბლიკის მარტო 14 მაზრაში პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 1940-1941 წლებთან შედარებით არასრული ცნობებით შემცირდა: ცხენი — 136.140 სულით, მსხვილფეხა რქიანი საქონელი—365.995 სულით, ღორი—463.340 სულით, ცხვარი—594.492 სულით, ქათამი — 996.000 სულით, ბატი და იხვი—424.178 სულით.

ჰიტლერელმა დამპყრობლებმა ლიტვის სს რესპუბლიკის მრეწველობასაც უდიდესი ზიანი მიაყენეს. მათ ააფეთქეს რესპუბლიკის დიდი ელექტროსადგურები. დაანგრიეს, დასწვეს და გაძარცვეს ყველა ძირითადი სამრეწველო საწარმო.

კაუნასში გერმანელებმა მოსპეს მეტალურგიული ქარხანა „მეტალასი“, ოპტიკური ფაბრიკა „სპექტრასი“, რეზინის ფაბრიკა „ბუმა“, ხორცის კომბინატი, შუშის ქარხანა, სამი წისქვილის კომბინატი, ორი სპირტის ფაბრიკა. მათ გერმანიაში გაიტანეს ხე-ტყის ქარხნების, შალისა და ბამბეულის ქსოვილის ფაბრიკების და სხვათა მოწყობილობა. ვილნიუსში დამპყრობლებმა დაანგრიეს რადიოაპარატურის ქარხანა „ელექტრიტი“, ხე-ტყის საპირხი და ფანერის ქარხნები. ქალაქ შაულიაიში მათ დასწვეს და მოსპეს ტყავის პირველხარისხოვანი ქარხანა № 6, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ვატასი“, რომელიც დღეში 2 ათასამდე წყვილ ფეხსაცმელს უშვებდა, სამი საკონდენრო ფაბრიკა, ლუღის ქარხნები, ზეთსახდელი ქარხანა. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გერმანელებმა აგრეთვე დიდი რაოდენობით დაანგრიეს წვრილი სამრეწველო და კუსტარული საწარმოები, ბარბაროსულად მოსპეს ქალაქების კომუნალური მეურნეობა. ელექტროსადგურებს გარდა, მათ ვილნიუსში დაანგრიეს გაზის ქარხანა, წყალსატუმბავი სადგური მთელი თავისი აგრეგატებით, კაუნასის წყალსადენი. ქალაქის მოსახლეობა უსინათლოდ და უწყლოდ იქნა დატოვებული.

ლიტვიდან უკანდახევის წინ, 1944 წლის 6 ივლისიდან დაწყებული, გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები აფეთქებდნენ და სწვავდნენ ქალაქების ყველაზე კეთილმოწყობილ სახლებსა და საზოგადო შენობებს, სპობდნენ მთელ უბნებსა და ქუჩებს.

გერმანელმა დამპყრობლებმა გაანადგურეს რესპუბლიკის რკინიგზის მეურნეობა. მათ ააფეთქეს, დასწვეს და დაანგრიეს ვაგზლები, რკინიგზის ელექტროსადგურები, დეპოსი და ორთქლმავალსარემონტო სახელოსნოთა შენობები, სატუმბავი სადგურები, წყალსაწნევი კოშკები, რკინიგზის ხიდები, ათასობით ვაგონი, 183 ორთქლმავალი და ბევრი სხვა რამ.

ფაშისტი დამპყრობლები ლიტვის ქალაქების მოსახლეობის მასობრივ ძარცვას აწარმოებდნენ. ყველა საუკეთესო სახლები და ბინები მცხოვრებლებს ჩამოერთვათ და გერმანელთა სამოქალაქო და სამხედრო მოხელეებსა და გერმანიიდან გამომოსახლებულ „კოლონიზატორებს“ გადაეცათ.

* * *

ბევრი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს ჰიტლერელმა დამპყრობლებმა ლიტველ ხალხს. საგანგებო სახელმწიფო კომისიამ გამოარკვია ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშინელ დანაშაულობათა ჩამდენნი. ყველა ისინი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ და სასტიკი სასჯელი მიიღონ თავიანთ სისხლიან ბოროტმოქმედებათათვის.

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

ოთარ შვანგირაძე

ოთარ შვანგირაძე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის მე-4 კურსის ფრიადოვანი სტუდენტი, მძიმე განსაცდელის დღეებში სამშობლოს მამაც დამცველთა რიგებში ჩადგა.

1941 წლის დეკემბერში ახალგაზრდა პატრიოტმა დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და ფრონტზე წავიდა. პირველსავე ბრძოლებში მან თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა მეომარმა. მისმა ნაღმმტყორცნელებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი ქალაქ სლავიანსკთან ბრძოლებში. აქ ოთარი მძიმედ დაიჭრა.



1942 წლის მარტში ოთარ შვანგირაძე კვლავ ფრონტზეა. იგი ითვლებოდა დონის კაზაკთა ცხენოსან დივიზიაში ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაურად. თავის დივიზიასთან ერთად მან სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო.

ქალაქ ტუაპსესთან გაცხარებულ ხელჩართულ ბრძოლებში დონის კაზაკები შეუბრალებლად ჟლეტდნენ ჰიტლერელებს. კაზაკთა შორის იყო ქართველი მეომარი ოთარ შვანგირაძეც.

ქალაქ მოზდოკთან მტრის ზურგში შეჭრის დროს ოთარი მეორედ დაიჭრა, მაგრამ განკურნებისთანავე კვლავ თავის დივიზიას დაუბრუნდა. 1943 წელს იგი დონის კაზაკთა დივიზიასთან ერთად გმირულად იბრძოდა გერმანელ ოკუპანტთაგან უუბანის, დონბასისა და უკრაინის განთავისუფლებისათვის, მიმდინარე წელს მონაწილეობდა ცხარე ბრძოლებში ქალაქ იასსი სამხრეთ-დასავლეთით, შემდეგ კი უნგრეთში, სადაც ერთ-ერთი გაფთრებული ბრძოლის დროს განგმირა ვერაგი მტრის ტყვიამ.

უჭკნობი სახელი მოიხვეჭა ახალგაზრდა ქართველმა მეომარმა. მას არასოდეს არ დაივიწყებს სამშობლო, რომლის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობასაც შესწირა თავისი უმშიკვლო სიცოცხლე. ოთარ შვანგირაძის — ამ „საყვარელი ქართველის“ სახელი დაუვიწყარია იმ დივიზიაში, იმ მეომრებში, რომელთა გვერდითაც ის ასე სახელოვნად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ამაღელვებელ წერილს სწერს ოთარის მშობლებს გვარდიის გენერალ-მაიორი სლანოვი:

„სამშობლოსათვის მძიმე დღეებში ჩვენს მეზრძოლთა ოჯახს შეუერთდა თქვენი შვილი—თავისუფალი საქართველოს შვილი, თავისი სამშობლოს მოყვარული უმცროსი ლეიტენანტი ოთარ შვანგირაძე.

უკვე პირველსავე ცხარე ბრძოლებში კოშჩოკასა და ლინეინიასთან, ტუაპსეს მისადგომებთან და აფშერონსკაიას მთიან რაიონში მამაცობისა და გულადობისათვის, აგრეთვე საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისათვის კაზაკებმა გულწრფელად შეიყვარეს თავიანთი ახალგაზრდა მეთაური.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა დაუღალავი, უშიშარი მეომრის — ბოლშევიკის ოთარ შვანგირაძის ბრძოლა. ამისთვის ბრძოლებში დამსახურებანი და ბაკრდი დაუმშვენა წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I ხარისხის, სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით და მედლით „მამაცობისათვის“.

დონის მამაცი კაზაკების სწრაფ საბრძოლო ოქმედებაში, რომელთაც ბრძოლით განელეს გზა კავკასიის მთებიდან უნგრეთამდე, მე ვხედავდი მუდამ მხნეს, გულდასა და სიცოცხლით სავსე ოთარიკოს.

1944 წლის 26 ოქტომბერს ოთარი მამაცთა სიკვდილით დაეცა.

გიცხადებთ თანაგრძნობას და ფიცსა ვდებო, რომ შურს ვიძიებთ გერმანელ-უნგრელ დამპყრობლებზე, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს ჩემი ახლობელი და მებრძოლი მეგობარი“.

ალ. ბაკლანია

არგილერისტი ირემაშვილი

(ტელეგრაფით „კომუნისტის“ სამხედრო კორესპონდენტისაგან)

საბრძოლ უნგრეთი თვითმავალი ქვემეხების დივიზიონის მეთაურს მაიორ ირემაშვილსა და მის მებრძოლებს ძალიან აგონებდა წვიმიან და ჭაობიან კოლხიდას. განუწყვეტლად წვიმს, მინდვრებში ტირიფი და ალვადი ყანებია, გორაკებზე კი გაშენებულია ჭვნახები.

ირემაშვილმა რუკაზე დახედა თავისი თვითმავალი ქვემეხების მოძრაობის მარშრუტს, შეძლებ თვალი მოავლო მიდამოს და სთქვა:

— ადგილი არ იქნება ჩვენთვის აქ ბრძოლა. ჩვენს წინააღმდეგ არა მარტო მტერია თავისი მძლავრი სიმაგრეებით, არამედ ბუნებაც თავისი ჭაობებით, უგზოობით. ასეთ ნიადაგზე, განსაკუთრებით მძიმე თვითმავალი ქვემეხებით, ძნელია მოძრაობა, მაგრამ ჩვენ მაინც წინ წავალთ.

სიგნალისთანავე თვითმავალი ქვემეხები ბატარიებად გაემართნენ წინ. მუხლუხებქვეშ შადრევანივით ასხამდა ლაფი. არხებზე ყოველი გადავლისას ქვემეხებიდან ლულები ხან დაბალი იხრებოდნენ, ხან კი მრისხანედ აიმართებოდნენ მაღლა, ყოველთვის მზადმყოფნი ბრძოლისათვის. მაგრამ არტილერისტები ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩებოდნენ ქვეითს ჯარს და მიეხვედრებოდნენ უგზოობისა სულ წინ და წინ მიწევდნენ. ისინი მოხერხებულად ეკლიდნენ მტრის დასაყრდენ პუნქტებს და ფლანგებიდან შემოვლითი მანევრით ეჭრიდნენ გზას, რომლითაც მტერი ცდილობდა უკან დაიხიოს, თავს აბეზღნენ მას ცეცხლს იქ, სადაც მტერი არ ელოდა. მაგალითად, როდესაც ისინი შემბლელთს მანევრს ახორციელებდნენ და ბალატონის ტბის რაიონში მდებარე მტრის დასაყრდენ პუნქტს ეკლიდნენ, მაინორ ირემაშვილისა დივიზიონი ღრმად შეიჭრა მოწინააღმდეგის ზურგში და გერმანელთა და უნგრელთა დიდმნიშვნელოვან კომუნიკაციებზე გაეიდა.

ტბაოთან ნაპირის გასწვრივ ორი გზა მიდიოდა — გზატკეცილი და რკინიგზა. ორივე გზას, რომლებიც ფრონტალურად მიდიოდნენ ჩვენი ნაწილების წინ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტრისათვის. გზატკეცილზე მოძრაობდნენ მისი ტანკები და თვითმავალი ქვემეხები „ფერდინანდები“, ისინი ეცოდნენ ჩვენს ქვეითს ჯარს და არ აძლევდნენ რკინიგზის ლიანდაგისაკენ გასვლის საშუალებას. ამ გზატკეცილით გერმანელებს საომარი მასალა მოჰქონდათ და მაშველი ჯარი გადმოჰყავდათ. მათ მთელი ყურადღება იმაზე ჰქონდათ მიპყრობილი, რომ შეენარჩუნებინათ ეს გზები, არ მიეშვათ გზებთან და ტბასთან ჩვენი ნაწილები.

სწორედ აქ, გერმანელთა თავდაცვის უაღრესად პასუხსაგებ უბანზე შეიჭრა მაიორი ირემაშვილი თავისი თვითმავალი ქვემეხებით. როდესაც გერმანელებმა დაინახეს საბჭოთა თვითმავალი ქვემეხები და ავრძნეს, რომ მათ გზებს საფრთხე მოელის, დასახმარებლად გამოიძახეს თავისი ჯავშნიანი მატარებელი. იგი ძალიან მალე მოვიდა და გზიდანვე დაუშინა ჩვენს თვითმავალ ქვემეხებს. ჩვენებმა მანევრირება დაიწყეს. მათი მანევრი იმდენად მოხერხებული იყო, რომ ეგნებლად გამოიდნენ ცეცხლიდან, ამავე დროს არ სწყვეტდნენ სროლას, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, მოკლე გაჩერებებიდან ზუსტად ურტყამდნენ ჯავშნიან მატარებელს.

ეს გაჩაღდა გერმანელთა ჯავშნიანი მატარებლის ძლიერი ბრძოლა სბჭოთა თვითმავალ ქვემეხებთან. ცეცხლის ბრძოლა ოცდაათ წუთს გაგრძელდა. ჯავშნიანმა მატარებელმა ვერ გაუძლო და მანევრირება დიიწყო, რათა თავი დაეფარა ჩვენი ქვემეხებისა ცეცხლისათვის. მან იწყო უკან დახევა, თან ისროდა. დივიზიონის მეთაურმა მაიორმა ირემაშვილმაც მოხერხებული მანევრით კვალდაკვალ დაუწყო დევნა ტბრს. უშენდნენ ბატარიებიც და ცალკე ქვემეხებიც. ჯავშნიან მატარებელთან ბრძოლა ადვილი არ იყო, იგი სწორ ლიანდაგზე მიჰქროდა, ჩვენს თვითმავალ ქვემეხებს კი უხდებოდათ სვლა დასაერილ და დაჭაობებულ ნიადაგზე.

ბოლოს ჩვენმა ორმა ქვემეხმა მოახერხა რკინიგზის ლიანდაგთან მისვლა და ჯავშნიანი მატარებლისათვის გზის გადაღობვა. ჯავშნიანი მატარებელი გაფთრებით ისროდა, უკან შებრუნდა და უნდოდა საწინააღმდეგო მიმართულებით გასულიყო, მაგრამ მაიორმა ირემაშვილმა მას გზა გადუჭრა თვითმავალი ქვემეხების მთელი ბატარიით. პატარა მაღლობის ფერდობთან იგი გადმოვიდა სადგურთან და ჩაუსაფრდა იქ. ჯავშნიანი მატარებელი ამ ჩასაფრებას არ მოელოდა და მთელი თავისი კოშტები მიაბრუნა იმ მხარისაკენ, საიდანაც ისროდნენ საბჭოთა თვითმავალი ქვემეხები. ასე მიუახლოვდა იგი სადგურს, საიდანაც მოულოდნელად დაუშინა ჩასაფრებულმა ბატარიამ. პირველივე ზალპით ორთქლმავალი დაიმსხვრა. თვითმავალმა ქვემეხებმა მიბრჯენით დაუშინეს მატარებლის ბაქნებს. გადარჩენილი ჰიტლერელები მატარებლიდან ხტებოდნენ და გარბოდნენ, მაგრამ ქვემეხების გუნდები ავტომატისა და კარაბინის ცეცხლით ეფლეტდნენ მათ. ასე უსახელოდ დაამთავრა თავისი არსებობა გერმანელთა ჯავშნიანმა მატარებელმა და მისმა გუნდმა. ეს უკვე მეორე ჯავშნიანი მატარებელია, რომელიც გაანადგურეს ჩვენმა თვითმავალმა ქვემეხებმა ბალატონის ტბის რაიონში.

ეს იყო ირემაშვილის თვითმავალმა ქვემეხებმა მოათავეს ბრძოლა გერმანელთა ჯავშნიან მატარებელთან, რომ სადგურზე მოვიდა გერმანელთა ორთქლმავალი ს

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმი

გორი („კომუნისტის“ საკუთარი კორეს. პონდენტისაგან). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხეხილის ბაღებისა და ვენახების მოვლა-დამუშავების შესახებ. მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მიხანაშვილმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: გ. კეჩხუაშვილმა (რაიმოწვანი), კ. აბალაკმა (ახალაოფლის მტს-ი), გ. ჭალიძემ (შამპანური კომბინატი), ა. ტლაშაძემ (გორის მტს-ი), ვ. ჯანეზაშვილმა (ხელოვნების კოლმეურნეობა) და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარე წელს ბაღების დიდი ნაწილი წესიერად იქნა დამუშავებული. ნატარდა ხეხილის რიგთა შორის ბარვა, მცენარეთა წმენდა, ბევრგან ბაღებში შეტანილ იქნა ნაკელი.

ხეხილის ბაღებს კარგად უვლიან ხელოვნენი, ზემოტყვიავის, მერეთის, ქერეს და სხვა კოლმეურნეობებში, აგრეთვე ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში.

შინდისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. მაზმიშვილი) 50 ჰექტარი ხილის ბაღი მოუვლელია. ნიადაგში არ შეაქვთ ნაკელი, იშვიათად ატარებენ მორწყვას, არ სწარმოებს რიგთა შორის დაბარვა.

ცუდად უვლიან ბაღებს აგრეთვე: დიდი ხურვალეთის (თავმჯდომარე ხეროშვილი), შავშვების (თავმჯდომარე წკრიალაშვილი), ვარიანის (თავმჯდომარე კულტაშვილი), ქვემო ახალსოფლის (თავმჯდომარე გვერდწითელი) და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებში. მოუვლელია ნეწლისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღებიც.

მეორე საკითხად მოსმენილ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ი. რუხაიას მოხსენება რაიონში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში მა მოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს ამხანაგ სტალინის სოციალისტური ბრძანების შესწავლა. ბევრი ამხანაგი ამ ისტორიულ დოკუმენტებს დამოუკიდებლად სწავლობს. ასურველები წრეებშია გაერთიანებული.

რაიონში საგიტაციო მუშაობას ეწევა 662 აგიტატორი. კარგად მუშაობენ სოფელ პატარა მეჯვარისხევის კოლმეურნეობის აგიტატორი ჯ. ბაბალიაშვილი, გორის მტს-ის აგიტატორი ვ. გასიტაშვილი, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აგიტატორები გ. ვერდწითელი, — სიხარულიძე და სხვები. იმ სატრაქტორო ბრიგადამ, რომელშიც ამხ. ვ. ვარი გასიტაშვილი ეწევა აგიტაციას, წლიური საწარმოო დავალება 130 პროცენტით შესრულა. უკანასკნელი სამი თვის მანძილზე კოლმეურნეობებსა და საწარმოებში რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა 200 მოხსენება ჩაატარეს. აქტიურად მუშაობენ ლექტორები ვ. ჩიკვაძე, გ. ტალიაშვილი და ა. ტორჩინავა.

კარგად შეახამა პარტიული მუშაობა საშეურნეო საქმიანობასთან რკინიგზის ელექტროფიკაციის გორის განყოფილების პარტორგანიზაციამ (მდივანი მ. ქედლიძე). პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კარგად დაყენების შედეგად დისტანცია 5 თვეა ინარჩუნებს გარდამავალ წითელ დროშას, ხოლო წევის ქვესადგურს ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე მიენიჭა სანიმუშო ქვესადგურის წოდება.

მაგრამ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში არის ნაკლოვანებანიც. ცუდად მუშაობს ნადარბაზევის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია. აქ სათანადო ყურადღება არ ექცევა საგიტაციო მუშაობას, მივიწყებულია აგრეთვე პარტიაში ახალ წევრთა მიღება, მოუმზადებლად ტარდება პარტიული ჯრები, კრებებზე იშვიათად იხილავენ სამეურნეო ხასიათის საკითხებს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგიტატორები მშრომელთა დეპუტატების გორის ქალაქის საბჭოში, სარეწაო არტელებში და ახალდაბის კოლმეურნეობაში.

პლენუმმა განხილული საკითხების გამო მიიღო სათანადო პრაქტიკული დონისძიებანი.

შ. ჩუბინიძე

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა

სავიოლინო კონცერტი

სამი მოძმე რესპუბლიკის მუსიკის დეკადა, რომელშიაც მონაწილეობას იღება ათას კაცზე მეტი და რომელიც სამამულო ომის პერიოდში იმართება, ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა ხალხის დიდ მორალურ-პოლიტიკურ სიმტკიცეს.



ქართველმა კომპოზიტორებმა 1944 წელს შეექმნეს საგულისხმო ნაწარმოებნი, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ.

მიმდინარე წელს მე დავწერე ერთი დიდი ფორმის ნაწარმოები — სავიოლინო კონცერტი სიმფონიური ორკესტრით და ხუთი ვოკალური მცირე ფორმის თხზულება. მონაწილეობა მივიღე აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჰიმნების შესაქმნელად მოწყობილ კონკურსში.

სავიოლინო კონცერტის შექმნამ სურვილი ჩემში გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენი მუსიკალურ-ინსტრუმენტალური ხალხური შემოქმედებლობა, რომელიც ისევე სრულფასოვანია, როგორც ქართული ვოკალი, კომპოზიტორების მიერ არ იყო გამოყენებული და აყვანილი საკონცერტო ვირტუოზობამდე. თუ რა შედეგებს მივაღწიე ამ ნაშრომში, გამოარკვევს თვით დეკადის მსმენელობა; მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო, რომ იმ ჰანგებს, რომლებიც დღემდე მოუტანიათ ქართულ საკრავებს: ჩონგურს, სალამურს, სტვირს და სხვა ქართულ ინსტრუმენტებს, — თან მოაქვთ ჩვენი წარსულის უსიტყვო, მაგრამ მართალი ამბავი. ამ უკანასკნელში გამოხატულია ბრძოლის, სიყვარულის, გამარჯვების და სხვა ჰანგები.

ეს გზას მინათებდა ჩემს მუშაობაში, თუმცა მუსიკალური ციტატი მე სრულიად არ გამომიყენებია.

ი. ტუსკია

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

დღეს დეკადაზე

დღეს, 22 დეკემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგება ქართული სიმფონიური მუსიკის მეორე კონცერტი. პროგრამაშია სტალინური პრემიის ლაურეატის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გრ. კილაძის სიმფონია № 1, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ი. ტუსკიას სავიოლინო კონცერტი (ასრულებს ორკესტრთან ერთად კონსერვატორიის დოცენტი ლ. შიუკაშვილი) და შ. თაქთაქიშვილის „საზეიმო უვერტიურა“.

დირიჟორობს რსფსრ დამსახურებული არტისტი პროფესორი ა. გაუკი.

ქართული მუსიკის პირველი კონცერტი

გუშინ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე დაიწყო ქართული მუსიკის კონცერტები. ქართული კონცერტების ციკლის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო.

ლოჟებში არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. სტურუა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბაქრაძე, არმიის გენერალი ი. ტიულენევი, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი ამხ. ა. რაფავა, ამხ. ვ. ბუჯიაშვილი, მ. ჯაში, ს. იუხანოვი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ზ. კეცხოველი, კ. ბარიგიანი, მ. ჩუბინიძე, შ. წერეთელი.

კონცერტი გაიხსნა ამხ. პ. ხუჭუას შესავალი სიტყვით. იგი მიესალმა დეკადის მონაწილეთ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირისა და მთელი მუსიკალური საზოგადოებრიობის სახელით.

— დიდმა სამამულო ომმა, — თქვა ამხ. ხუჭუამ, — ღრმა გამოხატულება ჰპოვა საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებაში. მათ მიერ ომის დღეებში შექმნილი როგორც მსხვილი მონუმენტური თხზულებანი, ისე სხვა ჟანრის ნაწარმოებნი საპატიო ადგილს დაიკავებენ ქართული მუსიკალური კულტურის საგანძურში.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობითა და ყურადღებით გარემოცულნი, საქართველოს კომპოზიტორები უდიდესი შთაგონებით მუშაობენ მუსიკალური ხელოვნებაა ახალ მწვერვალთა დაპყრობისათვის. ისინი განუწყვეტლივ აუმჯობესებენ თავისი ოსტატობის ხარისხს, დაძაბულად მუშაობენ ჩვენი მღელვარე ეპოქისათვის შესაფერ მონუმენტურ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

ქართველ კომპოზიტორთა მთელი გრძნობა და აზრი მიმართულია კაცობრიობის უდიდესი ადამიანის — სტალინისაკენ. მას, საბჭოთა ხალხის ბელადსა და მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს და წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორს, უძღვნიან საქართველოს კომპოზიტორები თავის საუკეთესო ნაწარმოებთ. თანამედროვე ქართული მუსიკის მრავალი ნაწარმოები მიძღვნილია დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის — ამხ. ლავრენტი ბერიასადმი.

კონცერტის პირველ ნომრად შესრულებულ იქნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ი. ტუსკიას „სიმღერა სტალინზე“. ასრულებდა საქართველოს ფილარმონიის ორკესტრი საოპერო თეატრისა და სახელმწიფო ანსამბლებთა გაერთიანებულ გუნდთან ერთად. დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი. სოლისტებად გამოდიოდნენ სახალხო არტისტი ე. სოხაძე, მსახიობები ბ. კრავეიშვილი და გ. გოგიჩაძე.

კონცერტის პროგრამის ცენტრალური ნომერი იყო სტალინური პრემიის ლაურეატის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შალვა მშველიძის მეორე სიმფონია ოთხ ნაწილად.

ავტორმა ამ ნაწარმოებს „სიხარულისა და გამარჯვების სიმფონია“ უწოდა. „ზვიადაურია“ და პირველი სიმფონიის შემდეგ, რომელიც კავკასიის გმირული დაცვისადმი იყო მიძღვნილი, მშველიძის მეორე სიმფონია მისი სწრაფი შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელია. ამავე დროს ეს სიმფონია ძვირფას მონაპოვრად შევა ქართული სიმფონიური მუსიკის საგანძურში.

სიმფონიის ავტორს მსმენელებმა მხურვალე შეხვედრა მოუწყეს.

კონცერტის მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნა ქართული საოპერო და სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რესპუბლიკის სახალხო არტისტ დიმიტრი არაყიშვილის ლირიკული სიმფონიის მეორე ნაწილი, ორი არია შ. აზმაიფარაშვილის ოპერიდან „ხევის ბერი გოჩა“ (ასრულებდნენ სახალხო არტისტები დ. ანდღულაძე და პ. ამირანაშვილი) და უკანასკნელი დროის ქართული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო ნაწარმოები — კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრით. რიიალის პარტია დიდის ოსტატობით შეასრულა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტმა გიორგი მაჭუტაძემ.

საფორტეპიანო კონცერტმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთხმად აღინიშნა ავტორის მაღალი პროფესიული ოსტატობა და კონცერტის უდავო მხატვრული ღირსებანი.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ კომპოზიტორ ა. მაჭავარიანს და პიანისტ გ. მაჭიტაძეს.

სომხეთის სს რესპუბლიკის დასკვნითი კონცერტი

20 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მეოთხე კონცერტი. ამ კონცერტით დამთავრდა სომხეთის სს რესპუბლიკის მუსიკალური კოლექტივების გამოსვლა დეკადაზე.

კონცერტი მიეძღვნა სომხურ სიმფონიურ მუსიკას. პირველ ნომრად შესრულებული იყო კომპოზიტორ ვრ. ეგიაზარიანის სიმფონიური პოემა „სომხეთი“. გ. ეგიაზარიანი სომხეთის ერთ-ერთი ნიჭიერი მუსიკოსია. იგი განსაკუთრებით დაწინაურდა უკანასკნელ წლებში. მისმა სიმფონიურმა პოემამ „სომხეთმა“ პირველი ჯილდო მიიღო რესპუბლიკურ კონკურსზე ერევანში. გასულ საკონცერტო სეზონში ეს ნაწარმოები შესრულებული იყო მოსკოვში.

პოემა „სომხეთს“ დირიჟორობდა ი. ხარაჯანიანი.

შემდეგ შესრულებული იყო „გაიანეს არია“ აშოტ სატიანის ორატორიიდან „დავიდ-ბეგი“. ა. სატიანი ავტორია მრავალი მსმენელისათვის ლირიკული სიმღერისა. გაიანეს არია შესასრულა სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ტატევიკ საზანდარიანმა. არიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. საზოგადოების მოთხოვნით იგი გახმეორებულ იქნა.

პირველი განყოფილების უკანასკნელ ნომრად შესრულებული იყო გ. ეგიაზარიანის სავიოლინო კონცერტი ორკესტრით. ვიოლონს პარტიას ასრულებდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ავეტ გაბრიელიანი.

კონცერტის მეორე განყოფილებაში ორკესტრმა სომხეთის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტ მ. თავრიზიანის დირიჟორობით შეასრულა საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის არამ ხაჩატურიანის მეორე სიმფონია. ა. ხაჩატურიანი სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატია. მისმა მეორე სიმფონიამ, რომელიც დაწერილია გასულ წელს, სამხრთლიანად დაიკავა თვალსაჩინო ადგილი იმ საუკეთესო მუსიკალურ დოკუმენტთა შორის, რომლებიც შექმნილია დიდი სამამულო ომის დღეებში.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ხალხით გაჭედილი დარბაზი მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა კონცერტზე დამსწრე ავტორებსა და შემსრულებლებს.

* * *

სომხეთის სს რესპუბლიკის დასკვნითს კონცერტს დაესწრნენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბუჯიაშვილი, ა. თოფურიძე, საქართველოს სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გ. კოკინაძე და სხვები.

მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით ასრულებს ცეკვას „ვისია-ვისია“.

ჩემი მუშაობა

უკანასკნელი წლები ჩემთვის დაძაბული შრომის წლები იყო. სამამულო ომის პერიოდში დავწერე „საზეიმო უვერტიურა“ დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის, ორი ბალადა ხმისათვის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად

პოეტ ვ. გაბესკირიას სიტყვებზე: „საბჭოთა მზვერავი“ და „ბალი“; ბალადა ხმისათვის ფორტეპიანოსთან ერთად ა. მაშაშვილის სიტყვებზე — „გმირი მზედარო“; თავდაცვითი საგუნდო სიმღერები: „დედის სიტყვა“ (ტექსტი ი. ნონეშვილისა), „საიერიშო“ (სიტყვები კ. ბობოხიძისა), „სტალინგრადი“ (ტექსტი ი. აბაშიძისა) — ქართული და რუსული ვარიანტი, „შვილო, სამშობლო გეძახის“ (ტექსტი ი. მოსაშვილისა).

სიმღერამ — „საიერიშო“ პირველი პრემია მიიღო სამხედრო მრწამებისა და მასობრივი თავდაცვითი სიმღერების კონკურსზე.

დავწერე აგრეთვე სიმღერა-რომანსები: „ამნათი“ (სიტყვები წითელარმიელ დოლომანოვისა), „სამხრეთის სიმღერა“ (სიტყვები დ. ანანიაშვილისა), „ნანა“ (სიტყვები გ. ტაბიძისა); ათი საფორტეპიანო პიესა: „გაზაფხული“, „ბუზღუნა“, „ჩიკორი“, „სინათლე“, „ჩხუბი“, „ია“, „მტრალა“, „ტყე შრიალებს“, „მზე ამოდის“, „ნაკადული“, საფორტეპიანო ტრიო № 1 ვიოლინოსა, ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის ოთხ ნაწილად. დავამთავრე და ხელახალი რედაქცია გავუკეთე სამმოქმედებიან ოპერა „ოთარაანთ ქვრივს“ (ი. ჭავჭავაძის მიხედვით). დაწერილი მაქვს საზეიმო მარში დიდი სასულე ორკესტრისათვის — „დიდება გმირებს“. გარდა ამისა, დავამუშავე საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ჰიმნების ვარიანტები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე ჩემი ნაწარმოებებიდან შესრულებული იქნება „საზეიმო უვერტიურა“ (დირიჟორობს რსფსრ დამსახურებული არტისტი პროფესორი ა. გ. გაუკი), საფორტეპიანო ტრიო ოთხ ნაწილად (ასრულებენ ნ. პოლოსოკი, გ. ბარნაბიშვილი და მინასოვი), საფორტეპიანო პიესები „ჩიკორი“, „ია“, „მზე ამოდის“, „ნაკადული“ (ასრულებს გულნარა ქავთარაძე).

წინ გვიძევს დიდი და დაძაბული მუშაობა. ახლოვდება სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების ჟამი. კომპოზიტორებმა უნდა მოიკრიბონ მთელი თავისი ძალა, ოსტატობა, ცოდნა, რომ გამარჯვებული ხალხისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში მაქსიმალური სისავსით გამოჰხატონ მხურვალე საბჭოთა პატრიოტიზმი. მე განზრახული მაქვს დავწერო ორმოქმედებიანი ოპერა „კავკასიის მთებში“. ამ ნაწარმოების თემა იქნება კავკასიის გმირული დაცვა. ვწერ აგრეთვე პიესას ინსტრუმენტალური ანსამბლისათვის — „სოფელში“.

შ. თაქთაქიშვილი

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ლ. გოგრგილაძე

იდეების როლი საზოგადოების განვითარებაში

მარქსმა და ენგელსმა დიალექტიკური მატერიალიზმი გაავრცელეს საზოგადოებისა და მისი ისტორიის შესწავლაზე. ამ საფუძველზე მათ შექმნეს ისტორიული მატერიალიზმი. „მარქსის **ისტორიული მატერიალიზმი**, — გვასწავლის ლენინი, — მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია“.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირითადი, გამოსავალი პრინციპია: ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი, კამოსავალი პრინციპია: საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას. საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრება პირველადია, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოების სულიერი ცხოვრება მეორადი, წარმოებული.

„მატერიალიზმი საზოგადოდ, — სწერდა ლენინი, — აღიარებს ობიექტურად რეალურ ყოფიერებას (მატერიას), რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობის ცნობიერებისა, შეგრძნებისა, ცდისაგან და სხვ. ისტორიული მატერიალიზმი აღიარებს, რომ საზოგადებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია კაცობრიობის საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან. იქაც და აქაც ცნობიერება მხოლოდ ყოფიერების გამონაკვთომია, საუკეთესო შემთხვევაში მისი დაახლოებით სწორი (ადექვატური, იდეალურად ზედმიწევნილი) გამონაკვთომი“.

ამგვარად, საზოგადებრივი ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არის ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებული, ობიექტური რეალობა, ხოლო საზოგადებრივი ცნობიერება, საზოგადოების სულიერი ცხოვრება მისი ასახვაა. პირველი მეორის მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენს. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პეროიდებში სხვადასხვა შეხედულებებისა და იდეების არსებობა აიხსნება მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა პირობებით. განსხვავებული მატერიალური ცხოვრება განსხვავებულ სულიერ ცხოვრებას წარმოშობს. როგორაა საზოგადოების ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, ისეთივეა მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური დაწესებულებები.

იმ მთავარ ძალად, რომელიც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს საზოგადოების ხასიათსა და ფიზიონომიას, ისტორიული მატერიალიზმი სთვლის „ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი **საარსებო საშუალებების მოპოვების წესს, მატერიალური დოვლათის** — საზრდოს, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საცხოვრებელი ბინის, სათბობის, წარმოების იარაღების და სხვ. **წარმოების წესს**, რომელიც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებას ცხოვრება და განვითარება შეეძლოს“. (ი. სტალინი).

წარმოების წესი წარმოადგენს რეალურ ბაზისს, რომელზეც აღმართება საზოგადებრივი პოლიტიკური ზედნაშენი. ისტორიის განვითარების პროცესში ჯერ იცვლება საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები და შემდეგ, მის მიხედვით და შესაბამისად საზოგადოების პოლიტიკური წყობა, შეხედულებები, თეორიები, იდეები.

ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებას — საზოგადებრივი ყოფიერების პირველადობისა და საზოგადებრივი ცნობიერების მეორადობის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს. ისტორიული მატერიალიზმის ამ დებულებით ხელმძღვანელობს ბოლშევიკური პარტია თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების რეალური პირობების, ისტორიის განვითარების ობიექტური კანონზომიერების, საზოგადებრივი კლასების ურთიერთობის მეცნიერული ანალიზი წარმოადგენს სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობის აუცილებელ წანამძღვარი.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სწორად ასახავს საზოგადოების რეალურ ცხოვრებას, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს. ამაშია მისი ძლიერების უშრეტი წყარო.

საზოგადოების არსებობის მატერიალური პირობების ცვლილება და განვითარება საზოგადოების ცვლილებისა და განვითარების ძირითადი მიზეზია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იდეები, თეორიები, პოლიტიკური დაწესებულებანი თავის მხრივ პირუკუ გავლენას არ ახდენენ მატერიალურ პირობებზე. მარქსიზმის ყველა აშკარა და ფარული მტრები, ამახინჯებდნენ რა მარქსიზმს, ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან მარქსი და ენგელსი იდეალურ მხარეს არ ანიჭებდნენ დამოუკიდებელ ისტორიულ განვითარებას, ამით ისინი თითქოს სავსებით უარჰყოფდნენ მის ისტორიულ მნიშვნელობას. ნამდვილად კი ისტორიული მატერიალიზმის თანახმად საზოგადოების მატერიალური პირობები წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების მხოლოდ ძირითად, მაგრამ არა ერთად-ერთ განმსაზღვრელ მომენტს.

„ისტორიის მატერიალისტური განმარტების თანახმად, — ამბობდა ენგელსი, — ისტორიულ პროცესში **საბოლოო ანგარიშით** განმსაზღვრელ მომენტს წარმოადგენს წარმოება და განმმეორებელი წარმოება ნამდვილი ცხოვრებისა. ამაზე მეტი არა გვითქვამს რა არც მე და არც მარქსს. თუ ვინმე ამ დებულებას დაამახინჯებს, ვითომ ეკონომიური მომენტი ერთად-ერთი განმსაზღვრელი მომენტი იყოს, მაშინ ეს დებულება უშინაარსო, უაზრო, განყენებულ ფრაზად იქცევა“.

საზოგადოების სულიერი ცხოვრება, პოლიტიკური დაწესებულებები, თეორიები, იდეები, აღმოცენდებიან რა საზოგადოების განსაზღვრული მატერიალური ყოფიერების, საზოგადოების ცხოვრების განსაზღვრული მატერიალური პირობების ბაზაზე, ასახავენ მას, აქტიურად უკუმოქმედებენ საზოგადებრივ ყოფიერებაზე, საზოგადებრივი ცხოვრების მატერიალურ პირობებზე, აჩქარებენ ან აფერხებენ მის განვითარებას და, მაშასადამე, დიდ როლს თამაშობენ ისტორიაში.

იდეები და თეორიები ერთადერთანირია. არის ძველი, დრომოჭმული იდეები და თეორიები, რომლებიც საზოგადოების მომავალი ძალების ინტერესებს ემსახურებიან. და არის ახალი იდეები და თეორიები, რომლებიც საზოგადოების მოწინავე ძალების ინტერესებს გამოხატავენ. პირველი სახის იდეები და შეხედულებები აფერხებენ საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჰიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის მიხედვით მსოფლიო ისტორიაც განაწილებულია უდაბლეს და უმაღლეს რასებად. პირველთ არა აქვთ ცივილიზაციის უნარი. ისინი განწირულნი არიან იმისათვის, რომ მონობაში იყვნენ, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ობიექტს წარმოადგენდნენ. ჰიტლერელთა კაცთმოძულე შეხედულებების მიხედვით ცივილიზაციის ერთადერთი შემოქმედნი არიან გერმანელები. ისინი მოწოდებული არიან იბატონონ მსოფლიოზე. ამ საზიზღარმა ავაზაკურმა იდეებმა, შუასაუკუნეობრივი რეაქციისა და შავრაზმული რბევა-აწოიკების გამომხატველმა შეხედულებებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ადამიანის სახე დაუკარგეს, ისინი გარეული მხეცის დონემდე დაეცნენ. გერმანელთა რასობრივმა თეორიამ და რასობრივი სიძულვილის პრაქტიკამ ამავე დროს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ფაშისტური გერმანიის დაუძინებელი მტერი გახადა. ამგვარად, გერმანელ ფაშისტთა კაცთმოძულეობის რასობრივი თეორია გერმანიის შინაგანი სისუსტისა და საგარეო-პოლიტიკური იზოლაციის წყარო გახდა.

„მარტო ისიც კი, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — რომ გერმანელმა დამპყრობლებმა, მორალური დეგრადაციის შედეგად, ადამიანის სახე დაკარგეს და უკვე დიდი ხანია გარეული მხეცის დონემდე დაეცნენ, — მარტო ეს გარემოებაც კი იმას მოწმობს, რომ მათ თავიანთ თავს განუმზადეს გარდუვალი ლაოოპპა“.

საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში მოიპოვა როგორც სამხედრო, ისე მორალურ-პოლიტიკური გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე. ყველა რასისა და ეროს თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ საბოლოოდ დაამარცხა ჰიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგია.

ამგვარად, ჩვენი მოწინავე იდეოლოგიამ დიდ როლს ასრულებს სამამულო ომში ჰიტლერელ ავაზაკთა წინააღმდეგ. მოწინავე იდეები და თეორიები აადვილებენ, აჩქარებენ საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას; პროგრესიული იდეები, თეორიები, ეუფლებიან რა მასებს, უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი ძალის მატარებელნი ხდებიან.

ამხანაგმა სტალინმა თავის კლასიკურ შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ გენიალურად წინასწარ, რომ მოწინავე, რევოლუციური იდეებისა და თეორიების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების წინსვლა და განვითარება.

„ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — სწორედ იმიტომ წარმოიშობიან, რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მუშაობის გარეშე **შეუძლებელია** საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა“.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების უდიდესი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის, სწორად ასახავს რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მოთხოვნილებებს, ეუფლება მშრომელთა მასებს, რაზმავს მათ და მიმართავს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისაკენ.

ისტორიამ არ იცის მეორე მაგალითი, რომ იდეებსა და თეორიებს ეთამაშოს ისე დიდი, მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი როლი, როგორსაც ასრულებდა და ასრულებს ლენინურ-სტალინური იდეოლოგია. ამ იდეოლოგიით შეიარაღებულმა ბოლშევიკების პარტიამ დარაზმა ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები და წაიყვანა ისინი ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობის დასამხობად, განაზორციელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, უზრუნველჰყო საშოქალაქო ომში ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების განადგურება და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება. დიადი ლენინურ-სტალინური მოძღვრებით შეიარაღებული ბოლშევიკების პარტია სწორად არკვევს ვითარებას, სახავს საბრძოლო ამოცანებს და პოულობს გზებს მათ განსახორციელებლად. აი რამდენიმე მკაფიო მაგალითი.

1917 წელს ლენინმა თავის ისტორიულ აპრილის თეზისებში ჩამოაყალიბა თეორიულად დასაბუთებული, კონკრეტული გეგმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლისა და წამოაყენა ახალი გენიალური იდეა პარლამენტარული დემოკრატიული რესპუბლიკიდან საბჭოების რესპუბლიკაზე გადასვლის შესახებ. ლენინ-სტალინის მოძღვრებამ საბჭოების შესახებ წინ წასწია და განაკითარა მარქსისტული თეორია, შეიარაღა ბოლშევიკების პარტია, რევოლუციური მასები ნათელი რევოლუციური პერსპექტივით და ახალი ორიენტაციით. ლენინ-სტალინის ამ გენიალური იდეის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმაშია, რომ მის გარეშე ჩვენ არ გვეძლებოდა საბჭოთა ხელისუფლება.

ლენინმა და სტალინმა შექმნეს გენიალური თეორია, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის, მისი გამარჯვების პირობებისა და პერსპექტივების შესახებ და ამით განაკითარეს და წინ წასწიეს მარქსიზმი. ამ გენიალურმა თეორიამ შეიარაღა მშრომელი მასები რევოლუციური პერსპექტივით, განუვითარა მათ ინიციატივა, გაუჩაგა და ასწავლა ბრძოლის გზა, განუმტკიცა გამარჯვების რწმენა. ლენინ-სტალინის მიერ შექმნილი ამ გენიალური თეორიის გარეშე ჩვენი ხალხი ვერ შესძლებდა სოციალისტური ცხოვრების აშენებას.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა ჩვენი ხალხის წინაშე დააყენა ისტორიული ამოცანები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვდნენ. მათი გენიალური გადაწყვეტა მოც

დეპეშები

სტეტინიუსის განცხადება კრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 18 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა სტეტინიუსმა განცხადება გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს პოლონეთის საკითხზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „შეერთებული შტატების მთავრობა არაორაზროვნულად უჭერს მხარს ძლიერ, თავისუფალ და დამოუკიდებელ პოლონეთის სახელმწიფოს და პოლონელი ხალხის უდავო უფლებას მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება, როგორც ეს მას საჭიროდ მიაჩნია“.

სტეტინიუსმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მუდამ იმ პოლიტიკის მომხრე იყო, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საზღვრების შესახებ საკითხები ღიად უნდა იქნას დატოვებული საომარი მოქმედების დამთავრებამდე, გაიხსენა სიტყვები კორდელ ჰელისა, რომელმაც 1944 წლის 9 აპრილს განაცხადა: „ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზოგიერთი საკითხი ამავე დროს არ შეიძლება და არც უნდა იქნას გადაჭრილი მეგობრული მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად“.

„რაც შეეხება პოლონეთის მომავალ საზღვრებს, — სთქვა სტეტინიუსმა, — თუ ამით უშუალოდ დაინტერესებული გაერთიანებული ერები ურთიერთშეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არაფერი ექნება საწინააღმდეგო ისეთი შეთანხმებისა, რომელიც შეიძლება გახდეს არსებითად დიდმნიშვნელოვანი წვლილი საერთო მტრის წინააღმდეგ ომის წარმოების საქმეში. თუ ასეთი შეთანხმების შედეგად პოლონეთის მთავრობა და ხალხი გადასწყვეტენ, რომ პოლონეთის სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ ნაციონალურ ჯგუფთა გადასახლებას, შეერთებული შტატების მთავრობა სხვა მთავრობებთან თანამშრომლობით დაეხმარება პოლონეთს ასეთი გადასახლების საქმეში, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება. შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ადგას თავის ტრადიციულ პოლიტიკას — უარი სთქვას რაიმე გარკვეული საზღვრების გარანტიის მიცემაზე. შეერთებული შტატების მთავრობა ლონისძიებებს ხმარობს უშიშროების საყოველთაო ორგანიზაციის შესაქმნელად, რომლის მეშვეობითაც შეერთებული შტატები ამ ორგანიზაციის წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად იკისრებენ პასუხისმგებლობას საერთაშორისო უშიშროების დაცვისათვის“.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ როგორ ეთანხმება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის წინადადებებსო, სტეტინიუსმა განაცხადა, რომ პირველი გაცნობისას მან ხელშეკრულებაში ვერაფერი ჰპოვა, რაც ეწინააღმდეგებოდეს ომთაშორისდგომი უშიშროების უზრუნველყოფის გეგმას. მან დასძინა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულების შესაფალ ნაწილში ნათქვამია ამ ფაქტზე.

სტეტინიუსმა განაცხადა, რომ მისი მოლაპარაკება ინგლისის მინისტრ ლოუსთან 18 დეკემბერს დილით მთლიანად მიეძღვნა ეკონომიურ საკითხებს, რომლებიც ომს ეხება, და რომ მოლაპარაკება გაგრძელდება დღისით.

კითხვაზე, შეუძლებელია თუ არა საკუთარი გამოიყოს ეკონომიური საკითხები პოლიტიკური საკითხებისაგან ხმელთაშუა ზღვის პრობლემათა განხილვის დროსო, სტეტინიუსმა უპასუხა, რომ ეს ყოველივის როდი შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ეკონომიურ საკითხებს განვიხილავდითო.

სტეტინიუსმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ გარკვეული არაფერია გაერთიანებული ერების ხელმძღვანელთა მომავალი შეხვედრის დროისა და ადგილის შესახებ. მან უარი თქვა კომენტარი გაეკეთებინა სენატში წარმოებული კამათისათვის საბჭოეთ-ფინეთ დეპარტამენტში დანიშვნათა დამტკიცების საკითხზე.

სტეტინიუსმა უარყოფითი პასუხი გასცა კითხვაზე, წინასწარ იცოდნენ თუ არა ინგლისელებმა პოლონეთის საკითხის შესახებ სტეტინიუსის განცხადების შინაარსი. მაგრამ შემდეგ სტეტინიუსმა განუცხადა კორესპონდენტებს, რომ მან აცნობა ინგლისის მთავრობას მომავალი განცხადების შესახებ და ეთათბირა ლონდონს განცხადების საერთო ხაზის თაობაზე.

სამმაგი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის ააგენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა საექსპედიციო ძალები: უმაღლესი სარდლობის შტაბში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შეტევის შედეგად გერმანელებმა დიდი გარღვევა განახორციელეს ფრონტის ამერიკელთა ხაზში. გარღვევის სიღრმე 20 მილს აღწევს. ამერიკელთა ზოგიერთი ნაწილი მოწყვეტილი აღმოჩნდა. გერმანელებმა მიაღწიეს სტაველს, კონსდორფსა და კიდევ ერთ პუნქტს, რომელიც ორ მილამდე მანძილზე მდებარეობს სენვიტის აღმოსავლეთით. გერმანელთა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა, რომელნიც გერმანიის მხრიდან ბელგიასა და ლუქსემბურგში შეიჭრნენ, ზოგიერთ პუნქტში ამერიკის ჯარების სწრაფი რეაქცია გამოიწვიეს, რომლებმაც შესძლეს შეეჩერებინათ ეს ნაკადი, მაგრამ გერმანელები განაგრძობდნენ მიძალებას.

სტაველო დაახლოებით 20 მილზე მდებარეობს ბელგიის საზღვრიდან და თითქმის ასეთსავე მანძილზე ლიეჟიდან. კონსდორფი 5 მილზე მდებარეობს ლუქსემბურგის საზღვრიდან, სენვიტი 5 მილზე—ბელგიის საზღვრიდან და დაახლოებით 11 მილზე სტაველს და მალმედის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა აეროსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

„გრძელდება ბრძოლები მოწინააღმოვრეს შეტევის რაიონში ბელგიასთან და ლუქსემბურგთან გერმანიის საზღვრის დასავლეთით. მონშაუ აღმოსავლეთით მოკავშირეთა პოზიციები აღდგენილია. გერმანელთა იმ ნაწილის გარშემორტყმის შემდეგ, რომელიც ქალაქში შეეიდა. მოწინააღმდეგის იმ ნაწილებმა, რომლებიც ორ კოლონად უტევენ აღმოსავლეთიდან მალმედის მიმართულებით, მიაღწიეს სტაველს, მალმედის სამხრეთ-დასავლეთით, და ბიუტგენბახს, მალმედის აღმოსავლეთით. მოწინააღმდეგის კიდევ ერთმა კოლონამ, რომელიც სენ-ვიტის რაიონში უტევს, გზა მოუჭრა ქალაქის აღმოსავლეთით მყოფ ზოგიერთ ჩვენს ნაწილს და სენ-ვიტიდან ორ მილზე იმყოფება.

ეტტერნახის რაიონში მოწინააღმდეგემ კონსდორფს მიაღწია და გარს შემოერტყა თვით ქალაქ ეტტერნახს. ამ ფრონტზე შეტევაში მონაწილეობას იღებს მოწინააღმდეგის 5-6 ჯავშანსატანკო და 8-9 ქვეითი დივიზია. მოკავშირეთა პოზიციები ჰონშაუს ჩრდილოეთით, ძლიერე რურის გასწვრივ ლინიხიდან დიურენამდე, არ შეცვლილა.

ააარის ხეობაში გრძელდება ბრძოლები მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრეებზე დილინგენისა და საარლაუტერნის რაიონში. მოგერიებულია მოწინააღმდეგის ორი უმნიშვნელო კონტრიერიში ააარგემიუნდის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ფორტი შისეკი — მაინის ხაზის მეორე დიდი სიმაგრე, ბიტშის ახლოს. ამ რაიონის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ შეტევითი მოქმედება დაიწყო, და მტრის რამდენიმე პატრულმა რაინი გადმოლახა.

კოლმარის ჩრდილო-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს ვოგეზების რაიონში და მთელი რიგი ადგილობრივი ბრძოლების დროს ტყვედ წამოიყვანეს დაახლოებით 300 კაცი.

20 დეკემბრის არახელსაყრელმა ამინდმა მინიმუმამდე შეზღუდა ავიაციის მოქმედება“.

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). საოპერაციო ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-8 არმიის კანადელთა ნაწილები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ ნავილიოს არხზე თავიანთი ხიდწინა სიმაგრის რაიონში. მოკავშირეთა ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი დიდი კონტრიერიშები, რომლებსაც ტანკები ეხმარებოდნენ. ფაენცის რაიონში მე-8 არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს ჩრდილოეთით მდინარეებს ლამონესა და სენიოს შუა. მე-5 არმიის უბანზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

მძიმე ბომბდამშენთა შენაერთებმა ავიაგამანადგურებლების თანხლებით 20 დეკემბრის თავდასხმები მოახდინეს საშხეირო ობიექტებზე გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიაში.

ხმები კიჟღერეზე ახალი თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). რეიტერის ააგენტო გადმოგვცემს შვედურ გაზეთ „აფტონბლადეტის“ ცნობას, რომ ბერლინში ხმები გავრცელდა ჰიტლერზე ახალი თავდასხმის შესახებ. ეს ხმები იმას ემყარება, რომ საიდუმლო გარემოებებში ხანძარი მოხდა პლესჰაიმის ციხე-დარბაზში (ბავარია), სადაც, როგორც ფიქრობენ, ჰიტლერის ბანაკი იმყოფებოდა და სადაც, როგორც ცნობილია, იგი რამდენიმე ხანს ცხოვრობდა. პლესჰაიმის მთელი რაიონი გარშემორტყმულია სს-ელთა ნაწილების მიერ, და ამ რაიონის ყოველგვარი კავშირი გარესამყაროსთან შეწყვეტილია.

სიკვდილით დასჯა გერმანიაში

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ჰიტლერულმა გაზეთმა „ლაგემ“ გამოაქვეყნა გერმანიის „იუსტიციის“ მინისტრ ტირაკის სტატია, რომელშიც მოყვანილია ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იმატა გერმანიაში სიკვდილით დასჯამ. ჰიტლერელი მინისტრის შემცირებული გამოანგარიშებითაც კი, ზრდა ასეთ სუფთა ევროპელი ზურგის არასაიმედობა, ჩოლოს ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის შინაგანი სისუსტე“. (ი. სტალინი).

1944 წლის 6 ნოემბერს საბჭოთა ადამიანები უდიდესი აღფრთოვანებით ისმენდნენ ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიღრმითა და სიცხადით შეაჯამა საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული უდიდესი გამარჯვებანი როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, ცხადყო მათი წყაროები, შედეგები, ისტორიული მნიშვნელობა და დასახა საბრძოლო ამოცანები.

ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა თავისი პატრიოტული მოვალეობა და მტრისაგან გაათავისუფლა ჩვენი სამშობლო. ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან. ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აფრიალოს ბერლინში. საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანას წითელი არმია ახლო მომავალში შეასრულებს“.

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნულმა სიტყვებმა, რომლებსაც მთელი ჩვენი სამშობლო, მთელი მსოფლიო უღრმესი ყურადღებით ისმენდა, გამოიწვია საყოველთაო გამხნევება, აღფრთოვანება, ახალი საბრძოლო და შრომითი საგმირო საქმეები. მშობლიური სტალინის მოხსენება და ბრძანება უძლეველი ძალის მატარებელია, დიდი პროგრამაა. სტალინის ბრძნული სიტყვები ახალენენ ჩვენი ხალხის მთელი ძალების ორგანიზაციასა და მობილიზაციას იმისათვის, რომ უკანასკნელი დარტყმა გაგეგზავნოთ მტერს, მის საკუთარ ბუნაგში — მოვსპოთ ფაშისტი მხეცი და გამარჯვების დროშა აფრიალოთ ბერლინში.

ბელგიის პარლამენტის გადაწყვეტილება ბელგიის სამხედრო მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის ააგენტო გადმოგვცემს, ბრიუსელის რადიომ ცნობა გადასცა, რომ ბელგიის დეპუტატთა პალატამ ხმის უმრავლესობით მიიღო წინადადება საჰერვლის დამამზადებელი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ.

მოითხოვენ პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარდაქმნას პოლონეთის დროებით მთავრობად

ლიუბლინი, 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც პოლპრესის ააგენტო იუწყება, კრაოსნოს ნავთის სარეწების 5 ათასამდე მუშამ ხელი მოაწერა კრაიოვა რადა ნაროდოვასადმი მიმართვას, რომელშიც მოითხოვს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარდაქმნას პოლონეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობად. ანალოგიური მიმართვები მიიღეს ლიუბლინის სავოევოდოს გლეხთა ყრილობის მონაწილეებმა, ქალაქ რემბერტოვისა და სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა.

შრომის ნაციონალურმა საბჭომ მოინონა დეიბორისზული პარტიის რეზოლუცია საბერძნეთის შესახებ

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). შრომის ნაციონალურმა საბჭომ, რომელიც წარმოადგენს ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესს, კოოპერატიულ კავშირსა და ლეიბორისტულ პარტიას, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები საბერძნეთში დროებითი ზავის დასადებად და უზრუნველყოს თავისუფალი არჩევნები უახლოეს ხანშიეე.

იდეების როლი საზოგადოების განვითარებაში

(დასასრული)

საზღვარგარეთ ბევრი ფიქრობდა, რომ ფაშისტური გერმანიის „ელვისებური“ შეტევას საბჭოთა კავშირი ვერ გაუძლებდა. იმ მრისხანე დღეებში, 3 ივლისს რადიოთი გაისმა დიდი სტალინის ისტორიული სიტყვა. ამ სიტყვაში ბელადი იძლეოდა პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც საბჭოთა ხალხს ომმა დაუყენა. ბელადის მითითებებით შეიარაღებულმა ჩვენმა ხალხმა თავისი მუშაობა საშხეირო ყაიდაზე გარდაქმნა და ყველაფერი ომის ინტერესებს დაუმორჩილა. ამხანაგ სტალინის გამოსვლამ უდიდესი მაორგანიზებელი და დამრახმავი როლი ითამაშა.

ახლა, როცა ომი დასასრულს უახლოვდება, განსაკუთრებით ნათლად მოსჩანს სტალინური პროგნოზების, სტალინური წინასწარხედვის დიადი ძალა. სამამული ომის მსვლელობა ამტკიცებდა და ამტკიცებს სტალინურ დებულებათა და დასკვნათა, სტალინური პროგნოზებისა და წინასწარგანჭვრეტის მთელ ჭეშმარიტებას. ისინი ბეჯითი სიზუსტით განხორციელდნენ, სინამდვილედ იქცნენ.

სტალინურ წინასწარხედვათა დიადი, უძლეველი ძალა და ცხოველმყოფელობა ომში მდგომარეობს, რომ იგი ემყარება სამამულო ომის ვითარების ღრმა, მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენინურ ანალიზს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შინაგანი ძალებისა, საერთაშორისო ვითარების მეცნიერულ ცოდნას.

გერმანელი ფაშისტი ავანტურისტები, როცა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას იუწყებდნენ, ფიქრობდნენ, რომ უეჭველად შესძლებდნენ ერთნახევარ-ორ თვეში მოეღოთ ბოლო ჩვენი ქვეყნისათვის, დაემარცხებინათ წითელი არმია და დაემონებინათ საბჭოთა ხალხი. მათი „ელვისებური“ ომის გეგმა ანტიმეცნიერული, ქარაფშუტული და უნიადაგო იყო. ეს გეგმა საბოლოოდ ჩაიფუშა ომის დაწყებისთანავე. ვერაგი მტერი სასტიკად ნოსტყუვდა აგარიში. „მან ვერ გაითვალისწინა წითელი არმიის ძალები, ვერ გაითვალისწინა საბჭოთა ზურგის სიმტკიცე, ვერ გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებისყოფა გამარჯვებისა, ვერ გაითვალისწინა ფაშისტური ტერმინის ევროპული ზურგის არასაიმედობა, ბოლოს ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის შინაგანი სისუსტე“. (ი. სტალინი).

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ კუნძულ ლეიტზე (ფილიპინები) იაპონელთა ჯარების ორგანიზებული წინააღმდეგობა შესწყდა. იაპონელთა ხელში დარჩა რამდენიმე იზოლირებული კერა.

ამერიკის ბომბდამშენთა თავდასხმა შანხაისა და ნანკინზე

ვაშინგტონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის ავიაციის მე-20 შენაერთის შტაბი იუწყება, რომ 19 დეკემბერს „მფრინავი ციხის“ მარკის ზომძლავრი ბომბდამშენები თავს დაესხნენ შანხაისა და ნანკინს. დაბომბილია დოკები და მექანიკური სახელოსნოები. დაბომბვის შედეგები დამაკმაყოფილებელია.

ამერიკის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის ააგენტო საოპერაციო ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა ავიაციის მთავარსარდალმა გენერალმა იკერმა ამერიკელთა მე-15 საავიაციო კორპუსისათვის გაგზავნილ მილოცვის დეპეშაში აღნიშნა, რომ უკანასკნელი ექვსი დღის განმავლობაში იტალიის ბაზებიდან ყოველდღე დაახლოებით ათასი თვითმფრინავი იგზავნებოდა. უძლიერესი დაბომბვა განიცადეს ნავთის გადამამუშავებელმა საწარმოებმა ჩეხოსლოვაკიაში, ზემო სილეზიაში, პოლონეთსა და ავსტრიაში.

ომის დამთავრებისთვის გასამართლება ბულგარეთში

სოფია, 21 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის რადიო იუწყება, გუშინ დაიწყო ორი პროცესი ჰიტლერული გერმანიის მხარეზე ომში ბულგარეთის ჩაბმის დამნაშავეთა საქმეზე. სახალხო სასამართლოს პირველი შემადგენლობა არჩევს ყოფილ რეგენტთა, მეფის მრჩეველთა და ყოფილ მინისტრთა საქმეს.

სახალხო სასამართლოს მეორე შემადგენლობა ისმენს სახალხო კრების ყოფილ დეპუტატთა საქმეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დამთავრდა სამხედრო სესხის გავრცელების კამპანია

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა მორგენტაუმ რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ დამთავრდა მე-6 სამხედრო სესხის ობლიგაციათა გავრცელების კამპანია. მორგენტაუმ აღნიშნა, რომ სესხის ობლიგაციათა გაყიდვით შემოსულმა თანხამ უკვე გადააჭარბა დასახულ ციფრს — 14 მილიარდ დოლარს. საბოლოო გამოანგარიშების შემდეგ, ცხადია, ეს ციფრი გადააჭარბებს 19 მილიარდს.

არხანგელსკის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის სახელოსნოებში აგებულია ახალი, შემსუბუქებული ტიპის ელექტროსადგური ხეების ჭრისა და გამოტანის მექანიზმებისათვის ენერგიის მისაწოდებლად. სურათზე: ელექტროსადგურის შექმნის სამუშაოთა ხელმძღვანელი კ. ი. ვორონეცინი და მექანიკოსი ნ. დროზდოვსკი არეგულირებენ სადგურის ძალოვან აგრეგატს.

ფოტო ა. პესტაკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მხატვრების ნამუშევართა პირველი საფრონტო გამოფენა

ბელორუსიის მე-3 ფრონტის პოლიტსამმართველომ მოაწყო ფრონტელი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა. გამოფენაში ჰონაწილეობა მიიღო 49 მხატვარმა. მათი უმეტესობა წითელარმიელია, სმოლენშჩინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილე. მათ გამბრჯოლების დიდი გზა განვლეს მოსკოვიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე. ეს გზა ასახულია მათს ბევრ ნამუშევარში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 1,430 ნამუშევარი. სახვითი ფორმების—ფერწერა, ნახატი, გრავიურა—მრავალსახეობა და ანახვითი ანერგრის—პორტრეტი, კომპოზიცია, პეიზაჟი, აგიტპლაკატი, კარიკატურა—მრავალსახეობა მოწმობენ ფრონტის მხატვართა შემოქმედებითი ზრდას ამამულო ომის პერიოდში.

დიდ ინტერესს იწვევენ გვარდიის უფროს სერჟანტ კუდრიავცევის, წითელარმიელების ალტაკოვისა და სიდორინის, სერჟანტ ტახანოვის, კაპიტან შედეედევის, უმცროს ლეიტენანტ კაზაკოვისა და ჯგუფური პორტრეტის ოსტატ კომაროვის ნამუშევარნი.

ფრონტის მხატვრებმა შეჰქმნეს დიდძალი სურათი, რომლებიც გვიჩვენებენ ჩვენი ნაწილების საბრძოლო მოქმედებას მტრის მიწა-წყალზე.

გამოფენის მონაწილეებთან ჩატარებული საუბარი. შემუშავებულია ღონისძიებანი მხატვრების ნამუშევართა მეორე ათფრონტზე გამოფენის შესაქმნელად თემაზე „მოსკოვიდან აღმოსავლეთ პრუსიამდე“.

ბელორუსიის მე-3 ფრონტის მხატვრების ნამუშევართა 1-ლი გამოფენის ჟიურის

წევრი მაიორი დ. ტატიანინი

ბელორუსიის მე-3 ფრონტი, 21 დეკემბერი. (საკდესი).

საზამთრო არდადეგები სკოლებში

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით დაწყებითს, შვიდწლიან, საშუალო სკოლებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში საზამთრო არდადეგები დაიწყება 30 დეკემბრის გაკვეთილების დამთავრების შემდეგ და გაგრძელდება 1945 წლის 11 იანვრამდე.

განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლების დირექტორებს (გამგეებს) დავალებული აქვთ არდადეგების პერიოდში მოაწყონ მოსწავლეთა სამხედრო თამაშობანი, სამხედრო შეჯიბრებანი, ლაშქრობანი, კინო-სურათებისა და სპექტაკლების კოლექტიური ნახვა. სკოლებში და პიონერთა და მოსწავლეთა კლუბებში უნდა მოეწყოს მხატვრული თვითმოქმედების დილა ან საღამო, რომელზეც დემონსტრირებული იქნება სამამულო ომის გმირთა ბრძოლის ეპიზოდები, პატრიოტული ხასიათის მოთხრობები და ლექსები.

განათლების განყოფილების გამგეებს ნებადაერთოთ საზამთრო არდადეგები პერიოდში ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოაწყონ 8-10 კლასის მოსწავლეთა შეკრებანი. ამ შეკრებებზე განხილული იქნება სიმწიფის ატესტატზე გამოცდებისათვის მზადებისა და საგამოცდო საგნებში განვლილი მასალების განმეორების საკითხი.

2-დან 5 იანვრამდე ჩატარდება მასწავლებელთა რაიონული თათბირები. თათბირებზე ერთნაირულ სხდომებზე განიხილება ორი საკითხი: მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლების ღონისძიებებზე და გამოცდებისათვის მზადებაზე. ბუნარული სხდომების შემდეგ მოეწყობა „ცალკე სასწავლო . დისციპლინების მასწავლებლთა სექციების სხდომები სასწავლო დისციპლინებში განვლილი მასალების განმეორების საკითხების განსახილველად.

შ. დადიანის საღამო

ბორი, („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბორის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ორდენოსანი დრამატურგის შალვა დადიანის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

შალვა დადიანის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა როდიონ ქორქია. იუბილარს მიესალმნენ გ. ხარაული (პედინსტიტუტი), ქ. ლაცაბიძე (კომკავშირის რაკომი) და სხვები.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა შ. დადიანი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის.

დასასრულ შ. დადიანის, პ. ფრანგიშვილისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა ერისთავის „სამშობლოს“ მეორე და მეხუთე მოქმედება.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

პიონერთა სასახლეში

კვირას, 24 დეკემბერს, დღის 2 საათზე ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე აწყობს ორდენოსან პოეტ იოსეს გრიშაშვილის 40 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავ დილას.

პროგრამაშია მოხსენებები პოეტის შემოქმედების შესახებ, მისალმებები და მხატვრული განყოფილება.

ლექციები

22 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შეადგება ამხ. **ბ. ყდენტის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„დიდი ქართველი მწერალი ა. ყაზბეგი“.**

22 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს ფილარმონიის დიდ დარბაზში (სახელმწიფო კონსერვატორიის შენობა, გრიბოედოვის ქ. № 8) საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი აწყობს ამხ. **ზვავიჩის** (სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის სამეთა კომიტეტის ლექტორი) ლექციას რუსულ ენაზე. თემა: **„თანამედროვე ინგლისი“.**

თეატრებში

რუსთაველის სახელობის—22/XII—„ირმის ხეები“, 23/XII—„უდანაშაულო დამნაშავენი“. **მარჯანიშვილის სახელობის**—22/XII — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, 23/XII—„ბაგრატიონი“. **გრიბოედოვის სახელობის** — 22/XII—„ფლოტის ოფიცერი“, 23/XII — „ინგინერი სერგეევი“. **ახუნდოვის სახელობის** — 22/XII—„5-მანეთიანი საცოლე“, 23/XII—„გულშან ანა“. **მუსიკალური კომედიის**—22/XII — „მზის დაბნელება“. 23/XII—„საქორწინო მოგზაურობა“. **სანკულტურის**—23/XII—„სეუდიანი რომანი“, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 22/XII—„წითელქუდა“. 23/XII — „ჩექმიანი კატა“. **რუსული**—22, 23/XII—„შენი სახლი“.

კინოებში

22 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ“. **ოქტომბერი**—„უკანასკნელი ღამე“. **დამკვრელი**—„სიმღერა რუსეთზე“. **კომკავშირელი**—„ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“. **სპარტაკი**—„ცისარტყელა“. **ლუქსემბურგის სახელობის**—„ქორწინება“. **26 კომინტერნის სახელობის**—„სანი მუშკეტერი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველო აცხადებს, რომ 1945 წლისათვის მუდმივი ბილეთების ღირებულებაა:

ტრამვაის ბილეთებისა			ტროლეიბუსების ბილეთებისა		
წლიური სახელობითი	147	მანეთი	წლიური სახელობითი	1070	მანეთი
წლიური უსახელო	670	„	წლიური უსახელო	1600	„
თვიური	37	„			

ბილეთების ფასი უნდა გადაირიცხოს კომბანკში ანგარიშსწორების ანგარიშზე № 291/16. ბილეთების გაცემის წესი წინანდელი რჩება.

ბილეთების მიღებისათვის მიმართეთ ცენტრალურ ბუხჰალტერიას სამმართველოში. მისამართი: ტელმანის ქ. № 8.

მოქალაქე თინა გრიგოლის-ასულმა გოლდლაძემ, მცხოვრებმა ოვანიძის ქ. № 34, აღძრა საქმე სასამართლოს ქ. № 39-ში მცხოვრებ მოქალაქე **გივი კონსტანტინეს-ძე ბუაჩიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება კიროვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოში.

დები ნინო, ფედოსი, რძალი მარო ოჯახებით იუწყებიან, რომ 24/XII, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანშნულია ივანე ელიშუსის-ძე თიკანაძის პანაშვიდი.

შვილები ოლია, ანა, შალვა, კოლია, ვერა, იოსებ ოჯახებით იუწყებიან მარიამ ბრეგაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 22/XII, 3 ს. თუნუქის შუასახ. 10.

შვილები, რძლები, სიძე და შვილიშვილები იუწყებიან დარია სიმონის-ასულ მაჩაბელის გარდაცვალებას. გამოსვენება 22/XII, 4 ს. კალინინის, 73.

დედა სალომე, შვილი მედეა, და ვალია იუწყებიან ოლღა ბერულავა-დევდარიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23/XII, 6 ს. ყოფ. ბიბლიოთეკის საავადმყოფოში, კამოს ქ. გამოსვენება 24/XII, 1 ს.

ძმები გრიგოლ, ნიკოლოზ კიკნაძეები იუწყებიან, რომ 24/XII, 2 ს. დანშნულია დორა ფარნაოზის-ასულ კიკნაძის პანაშვიდი.

მილიციის საოლქთაშორისო სკოლის მუშაკები იუწყებიან ექიმ მიშა ბერიშვილის მამის **გვადას** გარდაცვალებას.

მეუღლე ზაქარია შვილებით, დედა პარასკევა იუწყებიან ნინო ჩიტაშვილი-გერკეულის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23/XII, 6 ს. გამოსვენება 24/XII, 2 ს. ფალიაშვილის, 47.

შვილები სონია, ლიზა, საშურა, ბაბულია, სიძე სპირიდონ ნიეარაძე შვილებით: ირა, ეთერ, ლამარა, მერი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე იუწყებიან დიმიტრი ბარქაიას გარდაცვალებას.

მშობლები სოლომონ, ეკა, და ნინო იუწყებიან ანდრო სოლომონის-ძე ომიაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23/XII, ქალაქის II საავადმყოფოში, კამოს, 103. გამოსვენება 24/XII, 1 ს.

სქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი იუწყება პროფესორ ვარლამ ღვალაძის გარდაცვალებას.

მშობლები ალექსანდრე, შურა, მეუღლე ნათელა, ბებია თეო იუწყებიან, რომ 24/XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ოთარ შვანგირაძის პანაშვიდი.

სტალინის სახელობის წითელი ჯვრის რაიკომი იუწყება დ. ელიავას მეუღლის ვიქტორ მაქსიმეს-ძე ელიავას გარდაცვალებას.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი იუწყება პროფესორ ვარლამ ზაქ